



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 103

„13“ ოქტომბერი 2015 წელი

გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს თანხმობა ქვემოთ მითითებულ ობიექტებზე განსახორციელებელი სამუშაოების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით:

ა) თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში, სტადიონის უბანში არსებული ჭაბურღილიდან ბაჩიაშვილი ლუკას სახლამდე წყალსადენის ახალი ქსელის მშენებლობა, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება დ.დ.გ.-ს ჩათვლით შეადგენს 1,897 ლარს;

ბ) თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში, თაღლაურის უბანში არსებული ჭაბურღილის ლაჩაშვილების უბანში არსებულ ჭასთან დამაკავშირებელი წყალსადენის ახალი ქსელის მშენებლობა, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება დ.ღ.გ.-ს ჩათვლით შეადგენს 4,486 ლარს;

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე



[Handwritten signature]

მერაბ ხიზანიშვილი